

ქალმა კისკისამ, მოსილმა შავში,
მოკლა ამ მუშის პატარა შვილი, –
ის, კომუნარი, ოთხი წლის ბავშვი.
მე მომაგონდა, არ ვიცი რატომ,
ჰიმნი მომავალ რევოლუციის,
ჰიმნი მასისტვის მეზრძოლი გულის,
ჰიმნი ხალხისთვის ამომავალ მზის
და ციხეები, გამოძიება,
სასამართლოთა განაჩენები,
გადასახლება, რბევა. კატორღა
და შემუსვრილი მუშათ ფენები.
თითქო მიწის ქვეშ ისმის გუგუნნი
არალეგალურ სტამბათა ბორბლის,
ცხრაას ხუთი წლის მღელვარე ფონზე"
საქართველოს მრავალი ორბის.
იშლება პრესნის ბარიკადები
და იღვრებიან სისხლის წყარონი,
ორკესტრი გრგვინავს, ვით გიგანტური
ბორკილებისა მძიმე ჟღარუნნი.
ორკესტრმა დაჰკრა "ინტერნაციონალი",
ეს ხმა არ არის მშვიდი და ნელი,
კოლოსალური, ძლიერი ხმაა,
ეს ხმაა ცხრაას ჩვიდმეტი წელი.
თქვენ მარტო არ ხართ სადარაჯოზე,
და თქვენთან ერთად იბრძვის ათასი –
ჩვენი და მთელი კაცობრიობის
გაღვიძებული მუშათა კლასი.
წადით პირდაპირ ამ გზით და მუდამ
მაღლა გეჭიროთ წითელი დროშა,
ჩვენ კი ყოველთვის თქვენთან ვიქნებიო,
იმ ბრძოლის დროს და ზეიმის დროსაც!
და კიდევ ბევრი ბრძოლის გადახდა,
ექვს გარეშეა, ჩვენ წინ დაგვხვდება,
თუ მთელი ქვეყნის თავგასულობა
თავდასხმისათვის კვლავ ემზადება.
ხანდახან გული გექნება მშვიდი:
რომ მოიხედავ, ბრწყინავს მზეები,
რომ გაიარა თავისი დიდი
ისტორიული ბრძოლების გზები.
გვასწავლა ბრძოლა და გამარჯვება
ათასმა, ბევრმა ათი ათასმა,

ვინაც შესძლო და მოიგერია
დაუნდობელი მტრების თავდასხმა.
სად ათეული ათასი რიცხვი,
რიცხვი უფრო მძლე და უფრო დიდი,
წინათ ჯანსაღი და ღონიერი –
დავრდომილია და ინვალიდი.
წყლული მორჩება, არაფერია.
ესკადრილით, ხმალით და თოფით,
კიდევ ბევრს ვნახავთ მტრის დამარცხებას
ერთი სურვილით და ნებისყოფით.
მუდამ მაღელვებს "ინტერნაციონალი",
ეს ჟრუანტელი ჩვენი დროისა,
ადგილს რომ მოსწყდა ძველი ცხოვრება
და უფსკრულებში მიიმსხვრ-მოიმსხვრა.
1927